სუქცინატდეჰიდროგენაზას მიერ წარმოქმნილი ფუმარატი ფერმენტ ფუმარაზას მეშვეობით გარდაიქმნება მალატად. არსებობს ფერმენტის ორი იზოფორმა: ციტოზოლური და მიტოქონდრიული. მიტოქონდრიული იზოფორმა ჩართულია კრების ციკლში, ხოლო ციტოზოლური იზოფორმა ამინომჟვებისა და ფუმარატის მეტაბოლიზმში მონაწილეობს [154]. ფუმარაზას მაკოდირებელი გენის მუტაციამ შესაძლოა გამოიწვიოს თირკმლის კარცინომა და კანის ლეიომიომა. ფერმენტის დეფიციტი განაპირობებს ენცეფალოპათიის განვითარებას, რისი მიზეზი ორგანიზმში დიდი რაოდენობით ფუმარის მჟავის დაგროვებაა [155].

I.2.5. სისხლის ლიპიდური ცვლის დარღვევები

სტრესის შედეგად ორგანიზმში განვითარებული მეტაბოლური ცვლილებები შესაძლოა გახდეს გულ-სისხლძარღვთა დაავადების მაპროვოცირებელი ფაქტორი. თანამედროვე მედიცინაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლიპიდური ცვლის დარღვევებს, რომელიც თავის მხრივ, წარმოადგენს რთული ბიოქიმიური და ფიზიოლოგიური პროცესების ერთობლიობას. ლიპიდების მეტაბოლიზმი მოიცავს ლიპიდების დაშლასა და შეწოვას საჭმლის მომნელებელ ტრაქტში, მათ ტრანსპორტს ნაწლავებიდან

ქილომიკრონების საშუალებით, ასევე ტრიგლიცერიდების, ფოსფოლიპიდების, ქოლესტერინის ცვლას, ლიპოგენეზს, ლიპოლიზს და ცხიმოვანი მჟავების კატაბოლიზმს.

ლიპიდური ცვლის დარღვევა (დისლიპიდემია) უმეტეს შემთხვევაში გულისხმობს სისხლში სხვადასხვა წარმოშობის ლიპიდების სიჭარბეს. ამ დროს მომატებულია ტრიგლიცერიდებისა და ქოლესტერინის დონე, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს ათეროსკლეროზისა და მასთან დაკავშირებული გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს. გარდა ამისა, სისხლში იცვლება ლიპოპროტეინების დონე, რომლებიც განსხვავებული შემადგენლობის გამო სხვადასხვა ზომისა და სიმკვრივის არიან. ლიპოპროტეინები სიმკვრივის მიხედვით იყოფიან:

- ქილომიკრონებად
- ძალიან დაბალის სიმკვრივის ლიპოპროტეინებად (ძდსლპ)
- საშუალო სიმკვრივის ლიპოპროტეინებად (სსლპ)
- დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინებად (დსლპ)
- მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინებად (მსლპ)

უზმოდ აღებულ სისხლის ნიმუშში ლიპოპროტეინების სამი ძირითადი კლასია წარმოდგენილი: ძდსლპ, მსლპ და ძსლპ. სსლპ-ის გამოყოფა კლინიკაში პრაქტიკულად არ ხერხდება (ძდსლპ და ძსლპ შორის მათი შუალედური მდგომარეობის გამო) და ეს ლიპოპროტეინები ძსლპ-ში კლასიფიცირდება [156].

თანამედროვე მონაცემებით, ათეროსკლეროზი ლიპოპროტეინების და სისხლის სხვა კომპონენტების ლოკალური დაგროვების შედეგად განვითარებული ცვლილებების ერთიანობაა, რის შედეგადაც ათეროსკლეროზის მორფოლოგიური საფუძველი, კერძოდ ათეროსკლეროზული ფოლაქი ყალიბდება. ეს წარმონაქმნი არტერიული სისხლძარღვის სანათურს ავიწროებს და ამცირებს მის ელასტიურობას. ამ მიზეზის გამო ირღვევა შესაბამისი რეგიონის სისხლით მომარაგება [157]. გარდა ზემოაღნიშნულისა, სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედებით შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ათეროსკლეროზული ფოლაქის ფიბროზული კაფსულის გახეთქვას და მისი ცხიმოვანი ბირთვის კომპონენტების სისხლძარღვის სანათურში ჩაღვრას, რაც ქსოვილოვანი

ფაქტორების გამოთავისუფლებისა და თრომბოზის განვითარების მაპროვოცირებელ ფაქტორად გვევლინება [158, 159]. არტერიულ სისხლძარღვთა ათეროსკლეროზული დაზიანება ძირითადად ოთხ არეს მოიცავს, რასაც თან ახლავს შესაბამისი კლინიკური გამოვლინება: • კორონარული სისხლძარღვების დაზიანება, ცერებრული სისხლძარღვების დაზიანება, პერიფერიული სისხლძარღვების დაზიანება, მუცლის ან გულმკერდის აორტის ათეროსკლეროზული დაზიანება. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ზემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი სისხლძარღვის ათეროსკლეროზული დაზიანების დროს მაღალია სხვა სისხლძარღვების ათეროსკლეროზული დაზიანების ალბათობაც. მაგალითად, ინსულტის მქონე პაციენტებს მომატებული აქვთ კორონარული არტერიების დაზიანების განვითარების რისკი [160-164].

I.2.5.1 ათეროგენეზის ლიპიდური რისკ-ფაქტორები

ა) დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები

სისხლში ქოლესტერინის კონცენტრაციის მომატება (ჰიპერქოლესტერინემია) არტერიულ სისხლძარღვთა ათეროსკლეროზის ერთერთი წამყვანი პათოგენეზური ფაქტორია. ათეროგენეზის თვალსაზრისით განსაკუთრებული რისკის მატარებელი დსლპ-ის ქოლესტერინია; სწორედ ამ ლიპოპროტეინშია ლოკალიზებული პლაზმის საერთო ქოლესტერინის 7 უდიდესი ნაწილი. სისხლში დსლპ-ის ქოლესტერინის კონცენტრაცია 25-60 მგ/დლ-ის ფარგლებში სავსებით საკმარისია ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ეპიდემიოლოგიური კვლევებით ათეროგენულად ითვლება დსლპ-ის ქოლესტერინის მაღალი კონცენტრაცია (100 მგ/დლ-ზე მეტი) [165-168].

სისხლში დსლპ-ის ქოლესტერინის კონცენტრაცია <100 მგ/დლ-ზე კად-ის განვითარების საკმაოდ დაბალ რისკთან არის ასოცირებული. იმ შემთხვევაში კი, როდესაც სისხლში დსლპ-ის ქოლესტერინის დონე ოპტიმალურ მაჩვენებელთან არის მიახლოებული (100-129 მგ/დლ), ათეროგენეზის განვითარების რისკი უკვე არსებობს,

და ამდენად, ეს მაჩვენებელი ცნობილია ასევე როგორც ოპტიმალურზე მაღალი მაჩვენებელი. სისხლში დსლპ-ის ქოლესტერინის მაღალთან მიახლოებული ან მოსაზღვრედ მაღალი მაჩვენებლების დროს (130-159 მგ/დლ), ათეროსკლეროზის განვითარების რისკი უკვე საკმაოდ მნიშვნელოვანია, ხოლო მაღალი (160-189 მგ/დლ) და ძალიან მაღალი (≥ 190 მგ/დლ-ზე) მაჩვენებლების დროს ათეროგენეზი პრაქტიკულად გარდაუვალია. აღნიშნული კორელაცია სისხლში დსლპ-ის ქოლესტერინსა და კორონარული არტერიების დაავადების განვითარების რისკს შორის საკმაოდ მრავალრიცხოვან პოპულაციაზე ჩატარებული მრავალი კვლევების შედეგად არის გამოვლენილი [169,170].

ბ) მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები

ათეროგენეზის თვალსაზრისით დსლპ-ის ქოლესტერინის მაღალ კონცენტრაციასთან ერთად მნიშვნელობა სისხლში მსლპ-ის ქოლესტერინის დაბალ მაჩვენებელსაც ენიჭება. მსლპ-ის ანტიათეროგენული ეფექტი რამდენიმე გზით ხორციელდება: მსლპ განაპირობებს პერიფერიული ქსოვილებიდან, მათ შორის, არტერიულ სისხლძარღვთა კედლებიდან და ათეროგენული ფოლაქიდან, ქოლესტერინის ტრანსპორტს ღვიძლში (ქოლესტერინის ე.წ. რევერსიბელური ან შექცევადი ტრანსპორტი) [171]; მაკროფაგებში ამცირებს ქოლესტერინის რაოდენობას და აღნიშნულთან ერთად, მსლპ-ის ანთების საწინააღმდეგო და ანტიოქსიდანტური თვისებები ხელს უწყობს ათეროგენეზის დათრგუნვას და ამცირებს ათეროგენულ ფოლაქში ანთებით აქტივობას [172-177]. ამრიგად, მსლპ ანტიათეროგენული ეფექტი ორგანიზმიდან ჭარბი ქოლესტერინის გამოდევნას და ათეროსკლეროზის პროგრესირების შეფერხებას განაპირობებს. აქედან გამომდინარე, სისხლში მსლპ-ის ქოლესტერინის 40 მგ/დლ-ზე დაბალი კონცენტრაცია კად-ის განვითარების რისკად განიხილება. მრავალრიცხოვანი ეპიდემიოლოგიური კვლევით დადგენილია, რომ მსლპ-ის ქოლესტერინის კონცენტრაციის დაქვეითება სისხლში, კად-ის დამოუკიდებელი და საკმაოდ მნიშვნელოვანი პრედიქტორია (მსლპ-ის ქოლესტერინის ყოველი 5 მგ/დლ-ით დაქვეითებისას მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარების რისკი 25%-ით მატულობს).

ამავე კვლევებით დგინდება, რომ სისხლში მსლპ-ის ქოლესტერინის კონცენტრაციის ყოველი 1 მგ/დლ-ით მატება, ამცირებს კორონარული არტერიების დაავადების აღმოცენების რისკს დაახლოებით 2-3%-ით.

გ) ტრიგლიცერიდები

სისხლში ტრიგლიცერიდების და ტრიგლიცერიდებით მდიდარი ლიპოპროტეინების კონცენტრაციის მომატება ათეროგენეზის რისკ-ფაქტორად განიხილება. სისხლში ტრიგლიცერიდების მომატებულ მაჩვენებელსა და სისხლძარღვთა ათეროსკლეროზულ დაზიანებას შორის კავშირი მრავალი ეპიდემიოლოგიური კვლევითაა დადგენილ [178,179]. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადრეული მულტივარიაციული ანალიზით, ტრიგლიცერიდები, როგორც კორონარული არტერიების დაავადების დამოუკიდებელი რისკის ფაქტორი, გამოვლენილი ვერ იქნა [180]. საქმე იმაშია, რომ კვლევის სირთულე თვით ჰიპერტრიგლიცერიდემიის ბუნებაშია, რაც იმას ნიშნავს, რომ ათეროგენეზის რისკის უამრავი ფაქტორი, როგორც ლიპიდური (საერთო, დსლპ-ის და მსლპ-ის ქოლესტერინი), ასევე, არალიპიდური (სიმსუქნე, არტერიული ჰიპერტენზია, დიაბეტი და თამბაქოს მოხმარება), საკმაოდ მჭიდრო ურთიერთკავშირშია სისხლში ტრიგლიცერიდების დონის მატებასთან [181]. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტორთა ამ ერთობლიობიდან, ტრიგლიცერიდების სეპარირება და მისი, როგორც ათეროგენეზის დამოუკიდებელი რისკის ფაქტორის შესწავლა გარკვეულ სირთულეებთან არის ასოცირებული და მომავალი კვლევების პრეროგატივას წარმოადგენს. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ლიტერატურაში უკვე გამოჩნდა მსგავსი კვლევების ანალიზის შედეგები, სადაც ტრიგლიცერიდები კად-ის დამოუკიდებელი რისკ-ფაქტორად გვევლინება [182,183]. ათეროგენეზში ტრიგლიცერიდების დამოუკიდებელი მონაწილეობის აღიარება იმის მანიშნებელია, რომ ტრიგლიცერიდებით მდიდარი ლიპოპროტეინები (ძდსლპ, სსლპ და მათი რემნანტები) ათეროგენული ლიპოპროტეინებია.

დ) დაჟანგული დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები

კლინიკური, ლაბორატორიული და ეპიდემიოლოგიური კვლევების საფუძველზე დადგენილი იქნა, რომ პლაზმის დაბალის სიმკვრივის ქოლესტერინის მომატება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკ-ფაქტორია. დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების დაგროვების მექანიზმი სისხლძარღვის კედელზე დიდი ხნის განმავლობაში იყო შესწავლის საგანი, თუმცა მხოლოდ დსლპ-ის მომატება ვერ გამოიწვევს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს. ამის მიზეზი არის ის, რომ ჭარბი ქოლესტეროლის არსებობის პირობებში დსლპ-ის რეცეპტორი ინჰიბირდება და აღარ იკმირებს ქოლესტეროლით მდიდარ დსლპ-ს. თუმცა, არსებობს დსლპ-ის მოდიფიცირებული ფორმა, დაჟანგული დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი (oxLDL), რომელიც უკავშირდება მემბრანაზე არსებულ სკავენჯერულ რეცეპტორებს და უზრუნველყოფს ქოლესტეროლის დაგროვებას უჯრედის შიგნით და ე.წ. ქაფიანი უჯრედების წარმოქმნას, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ათეროსკლეროზის პათოგენეზში [184].

დსლპ-ის დაჟანგვა არტერიის ინტიმაში მიმდინარეობს [185-187]. დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების დაჟანგვა შიძლება მოხდეს მეტალების იონების (რკინა, სპილენძი), გააქტივებული ფაგოციტების მემბრანასთან ასოცირებული NADPH-ოქსიდაზას, ზოგიერთი უჯრედულ ფერმენტის (მაგ. 15-ლიპოოქსიგენაზა), ჰემის შემცველი ცილების, მიელოპეროქსიდაზასა და გააქტივებული მაკროფაგების მიერ. კერძოდ, მიელოპეროქსიდაზას პროდუქტები ჰიდროქლორის მჟავა და ტიროზოლის რადიკალი ახდენს დსლპ-ის დაჟანგვას. აზოტის ოქსიდისგან წარმოქმნილი პეროქსინიტრიტი ასევე ზრდის დსლპ-ის მოდიფიკაციის რისკს [188,189].

დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების დაჟანგვის დროს თავდაპირველად წარმოიქმნება მინიმალურად მოდიფიცირებული დსლპ (MM-LDL), რომელიც გროვდება სუბენდოთელურ შრეში. MM-LDL აღიქმება ჩვეულებრივად LDL-ის რეცეპტორის მიერ. MM-LDL, თავის მხრივ, აინდუცირებს ლეიკოციტებისა და ენდოთელიუმის ადჰეზიას, ასევე ახდენს ენდოთელიუმიდან მონიციტების ქემოტაქსის ცილა-1 ის (MCP-1) და მაკროფაგების კოლონიის მასტიმულირებელი ფაქტორის (M-CSF) სეკრეციასაც [190], რის

შემდგომ იწყება მონოციტების დაგროვება ენდოთელურ შრეში და შემდგომ მათი მიგრირება სუბენდოთელურ შრეში, სადაც M-CSF მონაწილეობს მაკროფაგების დიფრენცირებაში. წარმოქმნილი მაკროფაგები ახდენენ MM-LDL-ის მოდიფიცირებას უფრო რეაქტიულ ფორმად, რომელიც აღარ აღიქმება დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის რეცეპტორის მიერ და აღიქმება უკვე მონოციტ-მაკროფაგის სკავენჯერული რეცეპტორის მიერ, რასაც მოსდევს ქოლესტეროლის დაგროვება მაკროფაგებში და საბოლოოდ, ქაფიან უჯრედების ჩამოყალიბება.


დაჟანგული დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები ააქტივებს სიმსივნის ნეკროზის ფაქტორს და ამის საპირისპიროდ, აინჰიბირებს ენდოთელიუმის რელაქსაციის ფაქტორით (EDRF) გავნითარებულ ვაზოდილატაციას [191,192].

I.3 კრეატინი, როგორც ეგზოგენური დანამატი

კრეატინი წარმოადგენს ნიტროგენულ ორგანულ მჟავას, რომელიც ძირითადად თირკმელსა და ღვიძლში სინთეზირდება და შემდეგ სისხლის მიმოქცევის სისტემის მეშვეობით ტვინს, გულს, კუნთს და სხვა ქსოვილებს მიეწოდება.

ორგანიზმში კრეატინის ბიოსინთეზი ორსაფეხურიანი პროცესია. რეაქციის პირველ საფეხურზე თირკმელში არგინინიდან და გლიცინიდან ფერმენტ L-არგინინ: გლიცინამიდინოტრანსფერაზის (AGAT) მიერ მიმდინარეობს ამინომჟავა გლიცინის ამიდინირება. რეაქციის შედეგად L-ორნიტინი და გუანიდინოაცეტატის მჟავა (GAA) მიიღება. წარმოქმნილი გუანიდინოაცეტატი პორტული ვენისა და ღვიძლის ვენის მეშვეობით გადაიტანება ღვიძლში, სადაც ბიოსინთეზის მეორე და საბოლოო საფეხურზე გუანიდინოაცეტატის მეთილირებით ფერმენტ გუანიდინოაცეტატ-მეთილ ტრანსფერაზის (GAMT) მონაწილეობით კრეატინი მიიღება, რომელიც ღვიძლიდან სისხლის მიმოქცევის სისტემაში გადაინაცვლებს. ბუნებრივია, რომ კრეატინის უჯრედში შეღწევა მხოლოდ აქტიური სატრანსპორტო მექანიზმის საშუალებითაა შესაძლებელი. ამ პროცესს აწარმებს სპეციალური სატრანსპორტო ცილა - კრეატინის ტრანსპორტერი (CrT). ამ ცილის მოქმედება ნატრიუმისა და ქლორის იონურ

ტუმბოსთანაა შეუღლებული. ტუმბოს მიერ უჯრედში გადატანილი ნატრიუმის ყოველ ორ იონზე კრეატინის თითო მოლეკულის თანატრანსპორტი ხდება. ამდენად CrT-ის ფუნქციაა სისხლიდან კრეატინის პლაზმური მემბრანის მიღმა უჯრედში გადაქაჩვა, რაც კონცენტრაციული გრადიენტის საწინააღმდეგოდ ხორციელდება. უჯრედში კი კრეატინი ფერმენტ კრეატინფოსფოკინაზას სუბსტრატს წარმოადგენს და ფოსფორილირების შედეგად ფოსფოკრეტინად გარდაიქმნება [193, 194] .



კრეატინის ბიოსინთეზი

AGAT- არგინინ: გლიცინამიდიდნოტრანსფერაზა, GAA-გუანიდინოაცეტატი, GAMT- გუანიდინოაცეტატ-მეთილ ტრანსფერაზა, SAM-S-ადენოზილმეთიონინი, SAH-S- ადენოზილჰომოცისტინი.

კრეატინი, როგორც პრეპარატი გამძლეობის გასაზრდელად პირველად გამოიყენეს 1992 წელს ბარსელონას ოლიმპიადაზე მონაწილე მძლეოსნებმა.

ადამიანის ორგანიზმის ყოველ ერთ კილოგრამ მასაზე 2 გრამი კრეატინი მოდის, რომელიც განთავსებულია კუნთის ბოჭკოებში კრეატინფოსფატის სახით და როცა კუნთის მუშაობისას იხარჯება ატფ -ის მარაგი (რომელიც საკმარისია მხოლოდ რამოდენიმე წამის განმავლობაში), სწორედ ამ დროს კუნთის დასახმარებლად გამოიყენება კრეატინფოსფატი, რომელიც ახდენს ატფ-ის რესინთეზს, რის შემდეგაც

კუნთი აგრძელებს მუშაობას. სწორედ ამ მიზნისათვის იყენებენ სპორტსმენები კრეატინს [195,196].

კრეატინი დადებითად მოქმედებს გულის კუნთის მუშაობაზე, განსაკუთრებით ინფარქტის შემდეგ გულის კუნთის ფუნქციის აღდგენაში. ასევე ის ირიბად მოქმედებს ცხიმის მასაზე. კრეატინი გამძლეობასთან ერთად ზრდის ძალას და კუნთოვან მასას. ის აკავებს წყალს კუნთის უჯრედებში, რითაც ზრდის კუნთის მოცულობას.

კრეატინის (Cr) ძირითადი როლი მდგომარეობს დააკმაყოფილოს მაღალენერგეტიკული მოთხოვნების უჯრედები ენერჯით [197]. თუმცა, მრავალი კვლევების შედეგად დასტურდება მისი ანტიოქსიდანტური ეფექტიც [198-202]. მაგალითად, არსებობს მონაცემები იმის შესახებ, რომ *in vitro* სისტემაში კრეატინი ბოჭავს თავისუფალ რადიკალების, იცავს მიტოქონდრიულ დნმ-ს ოქსიდაციური დაზიანებისგან [203]; ასევე ახორციელებს იმ ფერმენტების up-რეგულაციას, რომლებიც ჩართული არიან უჯრედშიდა ჟანგვითი პროცესების წინააღმდეგ ბრძოლაში. პაციენტები, რომელთაც აღენიშნებათ კრეატინის დეფიციტი, მათ ორგანიზმში მკვეთრად მატულობს ოქსიდაციური სტრესი [204], ხოლო კრეატინის ეგზოგენური შეყვანა თავველებში აუმჯობესებს ნეირომუსკულატორული დაავადებების მიმდინარეობას და მკვეთრად ამცირებს ჟანგბადის აქტიური ფორმების შემცველობას (ROS), როგორც სისხლში ასევე უჯრედში [205]. უფრო კონკრეტულად, ეგზოგენურად შეყვანილი კრეატინი გულის კუნთში აუმჯობესებს იმემიურ-რეპერფუზიული სინდრომის მიმდინარეობას [206]. თუმცა, კრეატინი ზუსტად რა მექანიზმით ახორციელებს ანტიოქსიდანტურ და კარდიოპროტექტორულ მოქმედებას ჯერჯერობით უცნობია.

კრეატინი დადებით ეფექტს ახდენს ნეირომუსკულატორული და ნეიროდეგენერაციული დაავადების მიმდინარეობაზე. ასევე გამოიყენება ართრიტისა და დეპრესიის მკურნალობაში. ექსპერიმენტებში პარკინსონით დაავადებულ ვირთაგვებში ეგზოგენურად შეყვანილი კოენზიმი Q და კრეატინის კომბინაცია იცავს ნეირონებს დაზიანებისაგან. ალცჰაიმერის დაავადების შემთხვევაში კრეატინი იცავს ჰიპოკამპის ნეირონებს ბეტა-ამილოიდის ტოქსიკური ეფექტისგან და შესაბამისად ამცირებს ამილოიდური ფოლაქების წარმოქმნას. ამიოტროფული სკლეროზისას კრეატინის

დადებითი ეფექტი ვლინდება ოქსიდაციური სტრესის შემცირებაში. კლინიკური ცდები ადასტურებს, რომ კრეატინის მოხმარებით იზრდება კუნთების სიმტიცე და ძალა, კლებულობს დაღლილობის შეგრძნება. ჰანტინგტონის დაავადებისას იგი აქვეითებს ლაქტატის დონეს, აუმჯობესებს სხეულის წონას, მოტორულ ფუნქციებს და აფერხებს ტვინში მიმდინარე ატროფიულ პროცესებს [207].

I.4 პერიფერიული სისხლის მონონუკლეარული უჯრედები (PBMC)

პერიფერიული სისხლის მონონუკლეარული უჯრედები მოიცავს ლეიკოციტებს (T უჯრედები, B უჯრედები და NK უჯრედები), მონოციტებსა და დენდრიტულ უჯრედებს. ადამიანებში, ამ უჯრედთა შეფარდება მეტნაკლებად განსხვავდება, თუმცა ძირითად შემთხვევებში ლიმფოციტები, როგორც წესი PBMC-ის საერთო რაოდენობის 70-90%-ს შეადგენს, მონოციტების პროცენტული შემცველობა მერყეობს 10 - 30%-მდე, ხოლო დენდრიტული უჯრედები ძალზე იშვიათია და PBMC-ის საერთო რაოდენობის მხოლოდ 1 - 2%-ს შეადგენს [208]. PBMC-ის უჯრედებს გააჩნიათ ოვალური ფორმის ბირთვი. მნიშვნელოვანი როლი აკისრია ინფექციური დაავადებების მიმდინარეობაში, ლეიკემიებისა და ტრანსპლანტაციის შემთხვევაში იმუნოლოგიური რეაქციები განვითარების პროცესში [209].

II. კვლევის ობიექტი და მეთოდები

II.1. კვლევის ობიექტი

ექსპერიმენტები ტარდებოდა მამრობითი სქესის, თეთრ, ლაბორატორიულ ვირთაგვებზე. სოციალური იზოლაციის მიზნით ვირთაგვებს ვათავსებდით ინდივიდუალურ გალიებში, სიბნელის პირობებში (თანაფარდობა სიბნელესა და სინათლეს შორის შეადგენდა 23.5სთ/0.5სთ.). ცხოველები იმყოფებოდნენ სრულ მხედველობით იზოლაციაში. ყნოსვა და სმენა შეზღუდული არ იყო. ცხოველებს საკვები და წყალი ეძლეოდათ შეუზღუდავად. ასეთ პირობებში ვირთაგვები იმყოფებოდნენ 30 დღის განმავლობაში. კონტროლად ვიყენებდით ვირთაგვებს, რომლებიც მოთავსებულნი იყვნენ ერთად, საერთო გალიაში, ჩვეულებრივ პირობებში (თანაფარდობა სიბნელესა და სინათლეს შორის შეადგენდა 10.00/14.00სთ.).

30-დღიანი იზოლაციის შემდეგ ვირთაგვებს ვაძინებდით ქლოროფორმით და ვახდენდით მათ დეკაპიტაციას, რის შემდგომაც ცივ პირობებში ხდებოდა სისხლისა და გულის კუნთის აღება.

II.2. კრეტინის ინტრაპერიტონეალური მიწოდება

კრეტინის ინტრაპერიტონეალურ მიწოდებას ვახდენდით პერასოსა და სხვათა მოდიფიცირებული მეთოდით [210].

120 ± 5 გრ წონის თეთრ, მამრ ვირთაგვებს უკეთდებოდათ კრეტინის ხსნარის (140 მგ/100მლ; 5% DMSO - დიმეთილსულფოქსიდი) ინტრაპერიტონეალური ინექცია (14მგ/100გრ წონაზე), 30 დღის განმავლობაში. საკონტროლო ჯგუფის შემთხვევაში შეგვყავდა 5% DMSO-ს ხსნარი, რომელიც მიღებულია ორგანიზმისათვის არატოქსიურ კონცენტრაციად [211].


II.3. სუბუჯრედული ფრაქციების მიღება დე-რობერტისის მიხედვით

გულის კუნთის ქსოვილის მიტოქონდრიულ და ციტოზოლურ ფრაქციებს ვიღებდით დიფერენციალური ცენტრიფუგირებით საქაროზას გრადიენტში [212]:


1. ვიღებდით ლაბორატორიული ვირთაგვების გულის კუნთის სუმაარულ მასალას ჯგუფების მიხედვით: საკონტროლო და საცდელი (სტრესირებული).

2. ვახდენდით მათ ჰომოგენიზაციას საქაროზას გრადიენტში (0.32Mსაქაროზა/40mM Tris-HCl, pH -7.4).

3. მიტოქონდრიულ და ციტოზოლურ ფრაქციებს ვღებულობდით შემდეგი თანმიმდევრობით:



II.4 სისხლის პლაზმის მიღება



II. 5 პერიფერიული სისხლის მონონუკლეარული უჯრედების (PBMC)

გამოყოფა

პერიფერიული სისხლის მონონუკლეარული უჯრედები გამოყოფილი იქნა ჰეპარინიზებული სისხლიდან ცენტრიფუგირებით ფიკოლის გრადიენტში (1.077გ/ლ). გამოყოფილი უჯრედები ირეცხებოდა ორჯერ ფოსფატის ბუფერის ხსნარით (PBS) და შემდგომში ხდებოდა მისი რესუსპენზირება RPMI-1640-ს 10%-იან ხსნარში. უჯრედების კონცენტრაცია შეადგენა 1×10^6 /მლ [213].

II.6. ჰორმონების რაოდენობის განსაზღვრა

სეროტონინის, კორტიკოსტერონისა და მელატონინის რაოდენობას ვსაზღვრავდით ELISA ტესტ-სისტემების საშუალებით, იმუნოფერმენტული მეთოდით (Serotonin ELISA kit; Corticosterone ELISA kit, Melatonin ELISA kit; IBL International, აშშ).

II.7. აზოტის ოქსიდის რაოდენობის განსაზღვრა

აზოტის ოქსიდის (NO) რაოდენობრივი განსაზღვრისათვის ვიყენებდით პაჰანისა და სხვ. მოდიფიცირებულ მეთოდს [214].

ცდების საწყის ეტაპზე სინჯარაში გადაგვექონდა 2 მლ მიტოქონდრიული სუსპენზია, რის შემდეგაც ვუმატებდით 0.8 მლ დისტილირებულ წყალს და 0.6 მლ NaOH-ს (0.3 M), ვურევდით და ვაყოვნებდით 5 წუთის განმავლობაში და ვუმატებდით 0.6 მლ ZnSO₄-ს (5%).

ნარევს ვაცენტრიფუგირებდით (3000 g x 30') და მიღებულ სუპერნატანტს ვუმატებდით 0.4 მლ გრისის რეაქტივს (20%).

შემდგომში სუსპენზიას ვაინკუბირებდით 15 წუთის განმავლობაში 37°C-ზე და შეფერილობის ინტენსივობას ვზომავდით სპექტროფოტომეტრულად ($\lambda=540$ ნმ).

II.8. აზოტის ოქსიდის სინთაზას აქტივობის განსაზღვრა

აზოტის ოქსიდის სინთაზას აქტივობას ვსაზღვრავდით NOS Activity Colorimetric Assay Kit-ის მეშვეობით (K205-100, Biovision Inc, აშშ). მეთოდის პრინციპი ემყარებოდა აზოტის ოქსიდის სინთაზას რეაქციაში შესვლას გრისის რეაქტივთან 1 და 2, რის შედეგადაც მიიღება შეფერილი პროდუქტი. NOS-ის აქტივობა ისაზღვრება სპექტროფოტომეტრულად 540 ნმ-ზე. ფერმენტის კატალიზურ აქტივობას ვითვლიდით 1 მგ ცილაზე გადაანგარიშებით (U/მგ ცილა).

II.9. Ca²⁺-ის კონცენტრაციის განსაზღვრა

Ca²⁺-ის იონის რაოდენობას ვითვლიდით Calcium colorimetric assay kit-ის გამოყენებით (Biovision Inc, აშშ). მეთოდის პრინციპი ემყარებოდა ქრომოგენული კომპლექსის უტილიზაციას ($\lambda=575$ ნმ), რომელიც ყალიბდება Ca²⁺-ის იონსა და 0-ქრეზოპტალეინს შორის.

II.10. ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის ზოგიერთი პროდუქტის განსაზღვრა

ა) მალონის დიალდეჰიდის რაოდენობრივი განსაზღვრა

ცდის წინ მიტოქონდრიების სუსპენზიას ვრეცხავდით 0.025M -იანი ტრის-HCl -ის ბუფერით (pH=7.4) საქაროზის მოსაცილებლად, რომელიც ხელს უშლის ფერის წარმოქმნას.

მიტოქონდრიული სუსპენზია (2.0 მლ) გადაგვქონდა ცენტრიფუგის სინჯარებში, ვუმატებდით სამქლორომმარმჟავას (1 მლ) და ვაცენტრიფუგირებდით 4000 g x 10' განმავლობაში. მიღებული სუპერნატანტის 2 მლ-ს ემატებოდა 1 მლ 0.8%-იან თიობარბიტურის მჟავას (თბმ). სინჯარებს ვათავსებდით მდულარე წყლის აბაზანაში (90-100°C) და ვახდენდით ნარევის ინკუბაციას 10 წთ-ის განმავლობაში და შემდგომ ვაციებდით ოთახის ტემპერატურამდე (20-25°C).

საკონტროლო სინჯარაში მიტოქონდრიული სუსპენზიის ნაცვლად ემატებოდა 2.0 მლ ბუფერს ხსნარი (0.025M ტრის-HCl; pH=7.4).

მალონის დიალდეჰიდის რაოდენობას ვითვლიდით ფორმულით:

$$C = \frac{E_{\text{საშ}}}{\epsilon \times l} \quad \mu\text{M}$$

სადაც:

C - ნივთიერების კონცენტრაცია;

$E_{\text{საშ}}$ - მიღებული შუქშთანთქმების მაჩვენებლის საშუალო სიდიდე.

მიღებულ ვარდისფერი შეფერილობის ინტენსივობა ისაზღვრებოდა სპექტროფოტომეტრულად $\lambda=532 \text{ ნმ}$ - ის ტალღის სიგრძეზე [215].

ბ) უჯერი ცხიმოვანი მჟავების დიენური კოიუგატების განსაზღვრა

უჯერი ცხიმოვანი მჟავების დიენური კოიუგატების განსაზღვრისათვის ვახდენდით მიღებული მიტოქონდრიების რესუსპენზირებას 0.1 M ფოსფატის ბუფერში (pH=7.6), რის შემდეგაც 1 მლ მიტოქონდრიულ სუსპენზიას ($\approx 10-15$ მგ ცილა) ემატებოდა 9 მლ სპეციალური ხსნარი (ჰეპტანი:იზოპროპილენი - 1:1) და ჰომოგენიზირდებოდა მინის ჰომოგენიზატორში 15 წუთის განმავლობაში. მიღებული ჰომოგენატი გადაგვქონდა ცენტრიფუგის სინჯარებში, და ვაცენტრიფუგებდით 4000 გ-ზე 10წთ- ის განმავლობაში.

ცენტრიფუგირებით მიღებული სუპერნატანტი გადაგვქონდა გრადუირებულ სინჯარებში და ვუმატებდით დისტილირებულ წყალს (1/10), ვანჯღრევდით და ვაყოვნებდით 5 წთ-ის განმავლობაში. დაშრევების შემდეგ ფრთხილად ვაცილებდით ჰეპტანის ფაზას. სინჯარაში დარჩენილი ხსნარის 0.5 მლ-ს ვუმატებდით ეთილის სპირტს (1:5/1:10) და ვსაზღვრავდით შუქშთანთქმას სპექტროფოტომეტრულად - $\lambda=233$ ნმ ტალღის სიგრძეზე [216].

II.11. სუპეროქსიდისმუტაზას ფერმენტული აქტივობის განსაზღვრა

მეთოდის პრინციპი მდგომარეობს ნიტროლურჯი ტეტრაზოლიუმის აღდგენის რეაქციის შეზღუდვის ხარისხის განსაზღვრაში [217].

3 მლ საინკუბაციო არეს, რომელიც შეიცავდა ნიტროლურჯ ტეტრაზოლიუმს (0.41 mM), EDTA-ს (0.33 mM) და მეთილფენაზოლსულფატს (0.01 mM; pH=8.3), ვუმატებდით 0.02 მლ საკვლევ სუსპენზიას.

შემდგომ ეტაპზე ვსაზღვრავდით მიღებული ხსნარის შუქშთანთქმის სიდიდეს სპექტროფოტომეტრულად ($\lambda=540$ ნმ), რის შემდეგაც ვუმატებდით 0.1 მლ NADH-ის ხსნარს (0.8 mM), ვურევდით და ვახდენდით ინკუბაციას 20'-ის განმავლობაში ($t=37^{\circ}\text{C}$).

ინკუბაციის შემდეგ ვსაზღვრავდით ხსნარის შუქშთანთქმას სპექტროფოტომეტრულად ($\lambda=540$ ნმ).

რეაქციის ინტენსივობაზე ვმსჯელობდით I და II მაჩვენებელს შორის სხვაობით და ფერმენტული აქტივობას (A) ვადგენდით შემდეგი ფორმულებით:

$$T\% = \frac{E_0 - E_{20}}{E_{20}} \times 100\%,$$

$$A = \frac{T\%}{100\% - T\%}$$

ფერმენტ სუპეროქსიდდისმუტაზას კატალიზურ აქტივობას ვითვლიდით 1 მგ ცილაზე გადაანგარიშებით (U/მგ ცილა).

II.12. ფერმენტ კატალაზას აქტივობის განსაზღვრა

ფერმენტული აქტივობის განსაზღვრის მეთოდი დამყარებულია წყალბადის ზეჟანგის (H₂O₂) თვისებაზე, წარმოქმნას მოლიბდატის მარილებთან მყარი ფერადი კომპლექსი [218].

ექსპერიმენტის საწყის ეტაპზე 0.1 მლ საკვლევე მასალას (100 მგ ქსოვილი/1 მლ ტრის-HCl (0.05 M), pH=7.8) ვუმატებდით 2 მლ წყალბადის ზეჟანგს (0.03%), ხოლო ბრმა ცდისთვის განკუთვნილ სინჯარაში საკვლევი მასალის ნაცვლად შეგვქონდა 0.1 მლ დისტილირებული წყალი. მიღებულ ნარევეს ვაყოვნებდით 10 წუთი, რის შემდეგაც, ვახდენდით რეაქციის შეჩერებას 1 მლ ამონიუმის მოლიბდატის 4% -იანი ხსნარის დამატებით და წარმოქმნილ შეფერილობას ვსაზღვრავდით სპექტოფოტომეტრულად ($\lambda=410$ ნმ).

საკონტოლო სინჯარაში წყალბადის ზეჟანგის ნაცვლად შეგვქონდა 2 მლ დისტილირებული წყალი.

ფერმენტის აქტივობას ვითვლიდით ფორმულით:

$$E = (A_{\text{ბრმა ცდა}} - A_{\text{ცდა}}) \times V \times t \times K \mu\text{kat/L}$$

სადაც:

E - ფერმენტის აქტივობა

$A_{\text{ბრმა ცდა}}$ }
 $A_{\text{ცდა}}$ } მიღებული შუქშთანთქმის სიდიდეები

V - შეტანილი ნიმუშის მოცულობა (0.1 მლ)

t - ინკუბაციის დრო (10 წთ)

K - წყალბადის ზეჟანგის მილიმორალური კოეფიციენტი ($22.2 \times 10^3 \text{ mM}^{-1} \times \text{cm}^{-1}$)

ფერმენტ კატალაზას აქტივობას ვითვლიდით 1 მგ ცილაზე გადაანგარიშებით (U/მგ ცილა).

II.13. ფერმენტ გლუტათიონ რედუქტაზასა და გლუტათიონ პეროქსიდაზას აქტივობის განსაზღვრა

გლუტათიონ რედუქტაზას აქტივობის განსაზღვრა ხდებოდა Glutathione Reductase Activity Assay Kit-ის მეშვეობით (K761-200, Biovision Inc, აშშ). მეთოდის პრინციპი ემყარებოდა, დაჟანგული გლუტათიონის გადაყვანას გლუტათიონში, რომელიც ურთიერთქმედებს 2-ნიტრობენზონის მჟავასთან (DTNB) და წარმოიქმნება TNB 2- (ყვითელად შეფერილი პროდუქტი). იგი იზომება სპექტროფოტომეტრულად $\lambda = 405 \text{ ნმ}$.

გლუტათიონ პეროქსიდაზას აქტივობის განსაზღვრა ხდებოდა Glutathione Peroxidase Activity Assay Kit-ის მეშვეობით (K762-100, Biovision Inc, აშშ). მეთოდის პრინციპი ემყარებოდა NADPH-ის რაოდენობის შემცირებას, რომელიც პროპორციულია GPx-ის აქტივობისა, გაზომვა ხდება $\lambda = 340 \text{ ნმ}$ ტალღის სიგრძეზე. ფერმენტ გლუტათიონ რედუქტაზას და გლუტათიონ პეროქსიდაზას აქტივობას ვითვლიდით 1 მგ ცილაზე გადაანგარიშებით (U/მგ ცილა).

II.14. ფერმენტ აკონიტაზას აქტივობის განსაზღვრა

ფერმენტ აკონიტაზას აქტივობის დასადგენად ნატიურ მიტოქონდრიებს ვამუშავებდით ბუფერით, რომელიც შეიცავდა 100 mM ტრის-HCl-ის ბუფერზე (pH=7.4) დამზადებულ 0.1%-იან ტრიტონ X-100-ს და ნატრიუმის ციტრატს. მიღებულ ნალექს ვუმატებდით საინკუბაციო არეს (150 mM ტრის-HCl-ის ბუფერზე დამზადებული: 8.6 mM ცის-აკონიტატი, 60 mM MgCl₂, 0.04 U იზოციტრატ დეჰიდროგენაზა, 125 mM ნადP, 240 mM MTT და 80 mM ფენაზილ მეტოსულფატი (PMS); pH=8.6), ვაყოვნებდით 15 წთ. ოთახის ტემპერატურაზე და ვაცენტრიფუგირებდით (3000 g x 10').

სუპერნატანტში ცის აკონიტის მჟავას გარდაქმნის პროდუქტს ვსაზღვრავდით სპექტროფოტომეტრულად ($\lambda=240$ ნმ) [219].

ფერმენტ აკონიტაზას აქტივობას ვითვლიდით 1 მგ ცილაზე გადაანგარიშებით (U/მგ ცილა).

II.15. ფერმენტ ფუმარაზას აქტივობის განსაზღვრა

ფერმენტ ფუმარაზას აქტივობას ვსაზღვრავდით ფერმენტის იმ რაოდენობის მიხედვით, რომელიც საჭიროა 1 წუთში 1 M ფუმარის მჟავას (ფუმარატი) დასასინთეზირებლად.

მიტოქონდრიულ სუსპენზიას ვამუშავებდით ტრის-HCl-ის ბუფერით (pH=8.6), რომელიც შეიცავდა 30 mM კალიუმის ფოსფატს და 0.1 mM L-მალატს. ნარევის ვაყოვნებდით 15 წუთი ოთახის ტემპერატურაზე და ვაცენტრიფუგებდით (3000 g x 10').

სუპერნატანტში ფუმარატის რაოდენობას ვსაზღვრავდით სპექტროფოტომეტრულად ($\lambda=240$ ნმ) [220].

ფერმენტ ფუმარაზას აქტივობას ვითვლიდით 1 მგ ცილაზე გადაანგარიშებით (U/მგ ცილა).

II.16. ფერმენტ სუქცინატდეჰიდროგენაზას აქტივობის განსაზღვრა

ფერმენტ სუქცინატდეჰიდროგენაზას აქტივობის განსაზღვრავად ვიყენებდით აბესა და მატსუკის მოდიფიცირებულ მეთოდს [221].

ექსპერიმენტის საწყის ეტაპზე 500 μ ლ მიტოქონდრიულ ფრაქციას ვუმატებდით 1 მლ HBM ბუფერს (140 mM NaCl, 5 mM KCl, 5 mM NaHCO₃, 1.1 mM MgCl₂ x 6H₂O, 1.2 mM Na₂HPO₄, 1.2 mM CaCl₂, 5.5 mM C₆H₁₂O₆ და 20 mM HEPES; pH=7.4) და ვაცენტრიფუგირებდით (16,000 rpm x 10').

შემდეგ ეტაპზე მიღებულ ნალექს ვასუსპენზირებდით 500 μ ლ 3-(4,5-დიმეთილტეტრაზოლ-2)-2,5-დიფენილტეტრაზოლინის ბრომიდი (MTT) (0.5 მგ/მლ) დამზადებული HBM ბუფერზე. მიღებულ სუსპენზიას ვაინკუბირებდით 45 წუთის განმავლობაში 37°C-ზე და ვაცენტრიფუგებდით (16,000 rpm x 10'). მიღებულ ნალექს ვხსნიდით 800 μ ლ დიმეთილსულფოქსიდიში, ვანჯღრევდით საღებავის გადმოსვლამდე და კვლავ ვაცენტრიფუგირებდით (16,000 rpm x 5').

შემდგომ ეტაპზე ვსაზღვრავდით მიღებული სუპერნატანტის შუქშთანთქმის სიდიდეს სპექტროფოტომეტრულად ($\lambda=540$ ნმ).

ფერმენტ სუქცინატდეჰიდროგენაზას აქტივობას ვითვლიდით 1 მგ ცილაზე (U/მგ ცილა) გადაანგარიშებით.

II.17. ფერმენტ ალდოლაზას აქტივობის განსაზღვრა

ალდოლაზას აქტივობის განსაზღვრავად ვიყენებდით ჩაპელისა და ჰოლმის მოდიფიცირებულ მეთოდს [222].

ალდოლაზური აქტივობა ისაზღვრებოდა ტრიფოსფატებში არსებული ლაბილური ფოსფორის რაოდენობის მიხედვით. საინკუბაციო ხსნარი შეიცავს 1 მლ გლიცინის ბუფერს (0.1 M, pH 9.0), 0.25 მლ ფრუქტოზო-1,6-დიფოსფატის (2 mM) ხსნარს და 0.25 მლ ჰიდრაზინის ხსნარს (0.1 M). რეაქცია ჩერდება 2 M NaOH-ის დამატებით. ფერმენტის აქტივობა ისაზღვრება სპექტროფოტომეტრულად 340 ნმ ტალღის სიგრძეზე .

ფერმენტ ალდოლაზას აქტივობას ვითვლიდით 1 მგ ცილაზე გადაანგარიშებით (U/მგ ცილა).

II.18. ატფ-ს რაოდენობრივი განსაზღვრა

ატფ-ს რაოდენობას ვსაზღვრავდით ATP Colorimetric/Fluorimetric Assay Kit გამოყენებით (Biovision Inc, აშშ). მეთოდის პრონციპი ემყარება ფოსფორილირებული გლიცეროლის მიერ წარმოქმნილი პროდუქტის გამოთავისფლებას, რომელიც ადვილად ისაზღვრება კოლორიმეტრულად ($\lambda=570\text{nm}$).

II.19. ფერმენტ კრეატინკინაზას აქტივობის განსაზღვრა

ფერმენტ კრეატინკინაზას აქტივობას ვსაზღვრავდით შუმანისა და სხვათა მოდიფიცირებული მეთოდით [223-225].

ექსპერიმენტის საწყის ეტაპზე ვამზადებდით სამუშაო რეაგენტს, რომელიც შეიცავდა იმიდაზოლის ბუფერზე დამზადებულ პირველ რეაქტივს (20 mM გლუკოზა, 10 mM მაგნიუმის აცეტატი, 2 mM EDTA, 5 mM ამგ, 0.2 mM N-აცეტილცისტეინი, 10 μM დიადენოზინ პენტაფოსფატი, 2 mM ნადგ, >4 U ჰექსოკინაზა, 25 mM SH-სტაბილიზატორი; pH=6.5) და მეორე რეაქტივს (2 mM ადგ, >2.8 U G6P-DH, 30 mM კრეატინფოსფატი), შეფარდებით 4:1. მიტოქონდრიული კრეატინკინაზას აქტივობის განსაზღვრისას მეორე რეაქტივი შეიცავდა ატფ-სა და კრეატინს, pH=7.2.

შემდგომ ეტაპზე 50 μL მიტოქონდრიულ სუსპენზიას ვუმატებდით 1 მლ სამუშაო რეაგენტს, ვურევდით და ვახდენდით მის ინკუბაციას 5 წუთის განმავლობაში 37°C-ზე, რის შემდეგაც ვზომავდით ხსნარის შუქშთანთქმის სიდიდეს სპექტროფოტომეტრულად ($\lambda=340\text{ nm}$) 1, 2, 3 წუთის შემდეგ (A1, A2, A3).

ფერმენტის აქტივობას ვითვლიდით შემდეგი ფორმულით:

$$E = \Delta A \times 6508 \text{ } \mu\text{კატ./ლ}$$

სადაც:

E - ფერმენტის აქტივობაა,

$$\Delta A = \frac{(A1 + A2 + A3)}{3} - \text{მიღებული შუქშთანთქმის სიდიდეთა საშუალო}$$

ფერმენტ კრეატინკინაზას აქტივობას ვითვლიდით 1 მგ ცილაზე გადაანგარიშებით (U/მგ ცილა)

II.20. კრეატინისა და ფოსფოკრეატინის რაოდენობრივი განსაზღვრა

კრეატინის რაოდენობას ვსაზღვრავდით Creatine Colorimetric/Fluorimetric Assay Kit-ის გამოყენებით (Biovision Inc, აშშ). აღნიშნული ტეტესტ სისტემა მაქსიმალური სიზუსტით ზომას კრეატინის რაოდენობას ბიოლოგიურ ნიმუშებში. კრეატინი ფერმენტულად კონვერტირდება სარკოზინში, რომელიც სპეციფიკურად იჟანგება და გვამღევს საბოლოო ეტაპზე შეფერილ პროდუქტს, რომელიც იზომება სპექტროფოტომეტრულად $\lambda=570$ ნმ ტალღის სიგრძეზე ან კოლორიმეტრულად ($E_x/E_m = 538/587$ nm)

ფოსფოკრეატინის კონცენტრაციას ნიმუშებში ვსაზღვრავდით Szasz et al მოდიფიცირებული მეთოდით [226].

მეთოდის პრინციპი მდგომარეობს ფოსფოკრეატინის დეფოსფორილირებასა და რიგი ფერმენტული რეაქციების შემდგომ აღდგენილი NADPH წარმოქმნაში.

სარეაქციო არე შეიცავდა 250 mM გლიცილ-გლიცინის ბუფერს (pH 7.4), 20 mM ადფ, 1 mM გლუკოზა, 20 mM NADP⁺, 300 mM MgCl₂, 50 U/ml გლუკოზო-6-ფოსფატდეჰიდროგენაზა და ჰექსოკინაზას, 50 U/ml კრეატინფოსფოკინაზა და ფოსფოკრეატინის სტანდარტული ხსნარი (2მგ/25 მლ).

ნარევს ვზომავდით $\lambda=340$ ნმ, ვაყოვნებდით 30°C-ზე 5 წთ და შემდეგ ისევ ვზომავდით. ფოსფოკრეატინის კონცენტრაციას ვითვლიდით სპეციალური ფორმულის გამოყენებით:

$$C = [(\Delta A_{\text{ნიმუში}} - \Delta A_{\text{სტანდარტი}}) \times (3.1) \times (25)] / 6.22 \mu\text{M/L}$$

II.21. კრეატინის მასინთეზირებელი ფერმენტის (GAMT) აქტივობისა და მატრანსპორტირებელი ცილის რაოდენობის განსაზღვრა

კრეატინის მასინთეზირებელი ფერმენტის GAMT-ის აქტივობა ისაზღვრებოდა ოგავას მოდიფიცირებული მეთოდის მეშვეობით [227,228].

ვირთაგვას ღვიძლების ჰომოგენიზაცია ხდებოდა სპეციალურ ბუფერში, რომელიც შეიცავდა 0.25 M საქაროზას, 10mM HEPES და 1mM EDTA. ღვიძლის ჰომოგენატს ვაცენტრიფუგირბდით 10000 გ' 4° C-ზე 1სთ-ის განმავლობაში. მიღებული სუპერნატანტი გამოიყენებოდა GAMT-ის აქტივობის განსაზღვრავად. ტესტი შეიცავდა 35 mM Tris-ის ბუფერს (pH 7.4), 7 mM 2-მერკაპტოეთანოლი, 50 μM SAM და 0.2 mM GAA (გუანიდინოაცეტატის მჟავა). GAA-ს დამატებამდე ნიმუშებს უტარდებოდა პრეინკუბაცია 10 წთ-ის განმავლობაში. ბრმა ცდა არ შეიცავდა GAA-ს. ჰომოგენატს ვაინკუბირებდითა 37° C , რეაქციის შეწყვეტა ხდებოდა 75 მკლ 15%-ანი ტრიქლორმმარმჟავას დამატებით. შემდეგ რეაქციის განეიტრალება დაუყოვნებლივ ხდებოდა μl 72 მკლ 1M ტრის (pH 7.4) დამატებით. პრეციპიტირებული ცილის ცენტრიფუგირება ხდებოდა 10,000 გ' 5 წუთი ოთახის ტემპერატურაზე. GAMT-ის აქტივობაზე ვმსჯელობდით მიღებული კრეატინის რაოდენობით, რომელიც ისაზღვრაბოდა სპეციალური ტესტ- სისტემების მეშვეობით.

კრეატინის ტრანსპორტერის რაოდენობრივ მაჩვენებელს ვსაზღვრავდით Elisa - ტესტ-სისტემის მეშვეობით (MBS086588, MyBioSource, აშშ.). მეთოდის პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: მიკროპლანშეტი წინასწარ დაფარული იყო კრეატინის ტრანსპორტერ-სპეციფიკური ანტისხეულებით, სტანდარტებსა და ნიმუშებს შემდგომში ემატებოდა ბიოტინ-კონუგირებული ანტისხეულებით, რომლებიც სპეციფიკურია კრეატინის მიმართ. HRP-თან კონუგირებული ავიდინი ემატებოდა მიკროპლანშეტს და ხდებოდა მისი ინკუბირება, შემდგომში TBM სუბსტრატი ემატებოდა მხოლოდ იმ ნიმუშებს, რომლებიც შეიცავდნენ CrT-ს. რეაქცისა წყდებოდა გოგირდმჟავას დამატებით. შეფერილობა ისაზღვრებოდა სპექტროფოტომეტრულად $\lambda=450$ ნმ ტალღის სიგრძეზე.

II.22. საერთო ქოლესტერინის და ტრიგლიცერიდების რაოდენობის განსაზღვრა

საერთო ქოლესტერინის რაოდენობა ისაზღვრებოდა Total Cholesterol Colorimetric /Fluorometric Assay Kit (K603-100, Biovision Inc, აშშ). მეთოდის პრინციპი ემყარება სისხლში წარმოქმნილი ქოლესტერინი დაჟანგვას წყალბადის ზეჟანგის მიერ, რომელიც მგრძნობიარეა ნიმუშის მიმართ და გვაძლევს შეფერილ პროდუქტს, რომელიც იზომება $\lambda=570$ ნმ ტალღის სიგრძეზე.

ტრიგლიცერიდების რაოდენობა პლაზმაში ისაზღვრებოდა Triglyceride Quantification Colorimetric/Fluorometric assay kit (K622-100, Biovision Inc, აშშ). მეთოდის პრინციპი ემყარებოდა, ტრიგლიცერიდების გარდაქმნას თავისუფალ ცხიმოვან მჟავებად და გლიცეროლად. წარმოქმნილი გლიცეროლი იჟანგება და წარმოქმნის პროდუქტს, რომელიც ურთიერთქმედებს ნიმუშთან და გვაძლევს შეფერილობას, რომელიც სპექტროფოტომეტრულად იზომება $\lambda = 570$ ნმ ტალღის სიგრძეზე.

II.23. მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების (HDL) და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების (LDL) რაოდენობის განსაზღვრა.

მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების რაოდენობის დადგენა ხდებოდა HDL and LDL/VLDL Cholesterol Quantification Kit-ის მეშვეობით (K613-100, Biovision Inc, აშშ). მეთოდის პრინციპი ემყარება მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების გამოყოფას LDL/VLDL-სგან. კერძოდ ქოლესტეროლ ოქსიდაზა სპეციფიურად უკავშირდება თავისუფალ ქოლესტერინს და წარმოქმნის პროდუქტს, რომელიც სპეციფიკურდა ურთიერთქმედებს ნიმუშთან და გვაძლევს შეფერილობას, რომელიც ისაზღვრება სპექტროფოტომეტრულად $\lambda=570$ ნმ ტალღის სიგრძეზე.

LDL ქოლესტერინის კონცენტრაცია (LDL-C) გამოითვლება საერთო ქოლესტერინის (TC), მაღალი სიმკვრივის ქოლესტერინის (HDL-C) და ტრიგლიცერიდების (TG) კონცენტრაციების საშუალებით:

$$\text{LDL-C} = \text{TC} - \text{HDL-C} \times \text{TG} / 5 (\text{მგ/დლ}) \text{ ან } \text{LDL-C} = \text{TC} - \text{HDL-C} \times \text{TG} / 2.2 (\text{მმოლი/ლ})$$

II.24. დაჟანგული დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების (oxLDL)

რაოდენობის განსაზღვრა

დაჟანგული დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების განსაზღვრა ხდებოდა ტესტ-სისტემების მეშვეობით, იმუნოფერმენტული მეთოდით (CN:MBS728710; MyBioSource Inc, აშშ).

OxLDL ELISA ნაკრების პრინციპი დამყარებულია კონკურენტულ იმუნოფერმენტულ იმუნოანალიზზე, რომლის დროსაც ხდება მონოკლონური OxLDL ანტისხეულებისა და OxLDL-HRP კონიუგატის უტილიზაცია. ექსპერიმენტის საწყის ეტაპზე მოვახდინეთ ნიმუშისა და ბუფერის ინკუბაცია, წინასწარ დაფარულ პლანშეტზე, OxLDL-HRP კონიუგატთან ერთი საათის განმავლობაში. ინკუბაციის შემდეგ გადავრეცხეთ ფოსოები ხუთჯერ და დავუმატეთ HRP ფერმენტის სუბსტრატი. ფერმენტული რეაქციის შედეგად წარმოიქმნება მოლურჯო შეფერილობის კომპლექსი.

საბოლოო ეტაპზე სარეაქციო არეში დავამატეთ სტოპ-ხსნარი, რომელმაც წარმოქმნილი ფერი გარდაქმნა ყვითელში. ფერის ინტენსივობა განისაზღვრა სპექტროფოტომეტრულად 450 ნმ ტალღის სიგრძეზე, მიკროპლანშეტურ წამკითხველზე (Multiscan Go, ThermoFischer Scientific)

II.25. ჟანგბადის აქტიური რადიკალების რაოდენობის განსაზღვრა

ა) ჟანგბადის აქტიური რადიკალების განსაზღვრა ხდებოდა ტესტ-სისტემების მეშვეობით, იმუნოფერმენტული მეთოდით (CN: MBS039665; MyBioSource Inc, აშშ).

წინასწარ მონიშნულ ანტისხეულებს წარმოადგენს ვირთაგვის ROS-მონოკლონური ანტისხეული. გამოსავლენი ანტისხეული არის პოლიკლონური ანტისხეულები და ბიოტინი. ნიმუშებისა და ბიოტინის მარკირებულ ანტისხეულები გადაიტანება ELISA-ს პლანშეტზე და ირეცხება PBS-ით. შემდეგ ავიდინ-პეროქსიდაზა ემატება თითოეულ ნიმუშს; სუბსტრატის შეღებისთვის გამოიყენება TMB (3,3',5,5'-ტეტრამეთილბენზიდინი). ამის შემდგომ ნიმუშები ირეცხება ისევ PBS-ით. საბოლოო ეტაპზე წარმოიქმნება ყვითელი ფერის ნაერთი, რომელიც იზომება $\lambda=450$ ნმ ტალღის სიგრძეზე.

ბ) ჟანგბადის აქტიური რადიკალების განსაზღვრა PBMC-ის უჯრედებში გამდინარე ციტომეტრიის საშუალებით

ROS-ების შემცველობას PBMC-ის უჯრედებში ისაზღვრებოდა გამდინარე ციტომეტრიის გამოყენებით (Becton Dickinson). ამისთვის ვიყენებდით ორ საღებავს: დიჰიდროეთიდიუმს (DHE) და 2-7-დიჰიდრო-ფლუორესცინ დიაცეტატი (DCFH-DA, Sigma). DCFH-DA გამოიყენება ROS-ების საერთო შემცველობის დასადგენად უჯრედში, ხოლო DHE მიუთითებს უშუალოდ სუპეროქსიდ-რადიკალების რაოდენობაზე. ფლუორესცენციის ინტენსივობა (MFI) იზომებოდა 530 ნმ ტალღის სიგრძეზე [229,230].

II.26. ცილის კონცენტრაციის განსაზღვრა ლოურის მეთოდით

ფოლინ-ჩოკალტეუს ფენოლოურ რეაქტივთან ცილის მოლეკულის შემადგენლობაში არსებული ამინომჟავები (ცისტინი, თიროზინი) წარმოქმნიან ლურჯი შეფერილობის კომპლექსს. ეს უკანასკნელი ფოლინის აღდგენის შედეგად წარმოიქმნება [231].

ექსპერიმენტის პირველ ეტაპზე 0.4 მლ მიტოქონდრიულ სუსპენზიას ვუმატებდით 2 მლ C რეაქტივს, რომელიც თავის მხრივ მზადდება A (NaHCO₃-ის (უწყლო) 2%-იანი ხსნარი დამზადებული 1 N NaOH-ზე) და B (0.5%-იანი CuSO₄ x 5H₂O დამზადებული 1 %-იან ნატრიუმის ციტრატზე) რეაქტივების ურთიერთშერევით (50:1). ვურევდით და ვაყოვნებდით 10 წუთის განმავლობაში ოთახის ტემპერატურაზე.

შემდგომ ეტაპზე ნარევს ვუმატებდით 200 µl ფოლინის რეაქტივს, ვურევდით და ვაყოვნებდით 30 წუთის განმავლობაში ოთახის ტემპერატურაზე.

მიღებულ შეფერილობას ვზომავდით სპექტროფოტომეტრულად (λ=750 ნმ) და ვითვლიდით ცილის კონცენტრაციას შემდეგი ფორმულით:

$$C = (E_{\lambda} - b) / a \text{ mg/ml}$$

სადაც:

C - ცილის კონცენტრაცია

E_λ - მიღებული შუქშთანთქმების საშუალო

a – y ღერძის გადაკვეთის წერტილი

b - ხაზის დახრილობა

II.27. სტატისტიკური ანალიზი

სტატისტიკური ანალიზისათვის გამოვიყენეთ Student's t-ტესტი არადამოკიდებელი მონაცემებისათვის და სარწმუნოდ იქნა მიჩნეული p≤0.05 და p≤0.01 მაჩვენებელი.

III. მიღებული შედეგები და მათი განხილვა

III.1. ფსიქო-ემოციური სტატუსის განსაზღვრა ხანგრძლივი იზოლირებისა და ცირკადული რიტმის დარღვევის პირობებში

დადგენილია, რომ ორგანიზმის ხანგრძლივი სოციალური იზოლაცია იწვევს ფსიქო-ემოციურ სტრესის განვითარებას, რომელიც თავის მხრივ განაპირობებს სხვადასხვა ქცევით დარღვევებს, გაზრდილ აგრესიულობას და ა.შ. ამავე დროს, მრავალრიცხოვანი კვლევები ადასტურებენ კავშირს სოციალური იზოლაციასა და სხვადასხვა სახის, მათ შორის გულ-სისხმარღვთა პათოლოგიას შორის. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრეს-ფაქტორს წარმოადგენს ბუნებრივი დღე-ღამური რიტმის დარღვევაც. სამეცნიერო ლიტერატურიდან კარგადაა ცნობილი ამ ფაქტორის ნეგატიური როლი ცხოველური ორგანიზმის ნორმალურ ფუნქციონირებაზე, რაც საბოლოოდ ვლინდება სხვადასხვა ტიპის პათოლოგიური პროცესისა და დაავადებების ჩამოყალიბებაში [232-234].

ბუნებრივი პირობების ნებისმიერი ტიპის ცვლილება, პირველ რიგში მოქმედებს ცნს-ზე, რაც გამოიხატება პერიფერიული ნერვული სისტემის აქტივირებითა და შესაბამისად, სხვადასხვა ჰორმონების სეკრეციით სისხლში [235]. სტრესის ზემოქმედებით სისხლში იზრდება ცირკულირებადი სტრეს-ჰორმონის (კორტიკოსტრონი) რაოდენობა, რომელიც ააქტივებს გლუკოკორტიკოიდულ რეცეპტორებს და ახდენს ჟანგბადის თავისუფალი რადიკალების პროდუქციას, რაც თავის მხრივ, უჯრედულ დონეზე აღრმავებს ოქსიდაციური სტრესის მიმდინარეობას, რაც პათოლოგიური პროცესის ჩამოყალიბების მიზეზი ხდება [236].


ლიტერატურიდან ცნობილია, რომ სტრესული მდგომარეობის შემფასებელ ბიოქიმიურ მარკერად ფართოდ გამოიყენება საკვლევი ინდივიდის სისხლში (პლაზმა) სტრესული ჰორმონების რაოდენობრივი ცვლილებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერიმენტის საწყის ეტაპზე განისაზღვრა 30-დღიანი სოციალური იზოლაციისა და

ბუნებრივი დღე-ღამური რიტმის დარღვევის პირობებში საცდელი ცხოველების სისხლში ისეთი ჰორმონების რაოდენობრივი შემცველობა, როგორცაა კორტიკოსტერონი და სეროტონინი. ამისათვის

ცნობილია, რომ ორგანიზმის სისხლში არსებული კორტიკოსტერონის უდიდესი წილის სეკრეცია თირკმელზედა ჯირკვლიდან ხორციელდება დილის საათებში, რის შემდგომაც პროცესის ინტენსივობა მცირდება [237]. აქედან გამომდინარე, ჰორმონების განსაზღვრისათვის სისხლს ექსპერიმენტული ცხოველებიდან ვიღებდით დილის საათებში (9.00-10.00სთ). მიღებული მონაცემები წარმოდგენილია სურათზე 1.

სურათიდან ჩანს, რომ ცხოველების იზოლირება და ბუნებრივი დღე-ღამური რიტმის დარღვევა გავლენას ახდენს ორგანიზმის ჰორმონალურ სტატუსზე, კერძოდ კორტიკოსტერონის რაოდენობა სტრესირებულ ცხოველებში საკონტროლო სიდიდესთან შედარებით შემცირებულია, იმ დროს, როცა სეროტონინის შემცველობა, პირიქით, მატულობს. როგორც ცნობილია, მათი რაოდენობა ამა თუ იმ პირობებში ანტაგონისტურად იცვლება, თუმცა ჯერ-ჯერობით დაუზუსტებელია აღნიშნული ცვლილების ზუსტი ხასიათი, სტრესულ სიტუაციებში ნანახია როგორც ერთი, ასევე მეორე ჰორმონის რაოდენობრივი მატება [238]. მწვავე სტრესის შედეგად, ადგილი აქვს კორტიკოსტერონის რაოდენობის მატებას და მის პარალელურად, სეროტონინის რაოდენობის კლებას, მაშინ, როცა ქრონიკული სტრესის პირობებში საპირისპირო შედეგები ფიქსირდება. ანალოგიური მონაცემები საცდელი ცხოველების ჰორმონალურ სტატუსზე სხვა ავტორების მონაცემებშიაც არის ნანახი [238].

როგორც სურათი 1-დან ჩანს, ცხოველების ხანგრძლივი, 30-დღიანი სოციალური იზოლირება და ბუნებრივი რიტმის დარღვევა იწვევს სეროტონინის კონცენტრაციის $\approx 36\%$ -იან ზრდას, მაშინ როცა კორტიკოსტერონის შემცველობა დაახლოებით 47% -ითაა შემცირებული. სავარაუდოდ, მიღებული მონაცემები 30-დღიანი სტრესირებული ცხოველების ე.წ. "გამოფიტვის" სტადიაში ყოფნის შედეგია.




სურათი 1. თეთრი ვირთაგვას სისხლში სეროტონინისა (A) და კორტიკოსტერონის (B) რაოდენობრივი ცვლილებები 30- დღიანი სოციალური იზოლაციისა და ბუნებრივი დღე-ღამური რიტმის დარღვევის პირობებში

*ორდინატთა ღერძზე - ჰორმონის კონცენტრაცია (ნგ/მგ ცილა); * $p < 0.05$*

გამომდინარე იქიდან, რომ დარღვეული იყო საცდელი ობიექტის ბუნებრივი ცირკადული რიტმი, შემდგომ ცდებში განსაზღვრული იქნა ჰორმონ მელატონინის რაოდენობრივი შემცველობა. ცნობილია, რომ ეს ჰორმონი პასუხისმგებელია ორგანიზმის „ცირკადული საათის“ ნორმალურ ფუნქციონირებაზე და მისი სინთეზი ეპიფიზში მიმდინარეობს სიბნელის პირობებში. როგორც სურათი 2-დან ჩანს, ხანგრძლივი სოციალური იზოლაციისას, რომელიც მიმდინარეობს ბუნებრივი ცირკადული რიტმის პირობებში, მელატონინის შემცველობა ექსპერიმენტული ვირთაგვების სისხლის პლაზმაში დაახლოებით 2,5-ჯერაა მომატებული. მელატონინი გარდა იმისა, რომ მონაწილობს დღე-ღამური ციკლის რეგულირებაში, ასევე წარმოადგენს ძლიერ ენდოგენურ ანტიოქსიდანტს, ჭარბი რაოდენობის შემთხვევაში მას გააჩნია გარკვეული დამცავი მოქმედება, კერძოდ ოქსიდაციური სტრესის გააქტივების ფონზე მას შეუძლია შებოჭოს სისხლში არსებული თავისუფალი რადიკალები, რითაც ხელი შეუშალოს

მოცირკულირე დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების დაჟანგვას, რაც თავის მხრივ, ათეროსკლეროზული ფოლაქის ჩამოყალიბების რისკ-ფაქტორი ხდება [239].



სურათი 2. თეთრი ვირთაგვას სისხლში მელატონინის რაოდენობრივი შემცველობის ცვლილება 30 დღიანი სოციალური იზოლაციისა და ბუნებრივი დღე-ღამური რიტმის დარღვევის პირობებში
*ორდინატა ღერძზე - ჰორმონის კონცენტრაცია (pg/mg ცილა); * p<0.05*

ცნობილია, რომ სტრესის შედეგად გამოწვეული ჰორმონალური დისბალანსი შესაძლოა გახდეს ჰიპოკამპის დაზიანების მიზეზი, რომელიც პასუხისმგებელია ფსიქო-ემოციურ სტატუსსა და მეხსიერებაზე [240]. ამის გათვალისწინებით, საინტერესო იყო ექსპერიმენტულ ცხოველებზე სტრესის ზეგავლენა შეგვემოწმებინა ფიზიოლოგიური ტესტებითაც. მიღებული მონაცემები წარმოდგენილია ცხრილში 1.

როგორც მიღებული მონაცემებიდან იკვეთება, რომ სოციალურ იზოლაციასა და ბუნებრივი ცირკადული რიტმის დარღვევის პირობებში მოხვედრილი ცხოველების ჰორმონალური სტატუსის გარდა, შეცვლილია ასევე მათი ფიზიოლოგიური მახასიათებლებიც, კერძოდ სარწმუნოდაა გაზრდილი შიშის რეაქციები შემცირებული კვლევითი აქტივობის ფონზე. მსგავსი შედეგები ნანახი იქნა ჩვენს წინა კვლევებშიც.

ცხოველების ფიზიოლოგიური მახასიათებლები ხანგრძლივი სოციალური იზოლაციისა და ცირკადული რიტმის დაღვევით გამოწვეული სტრესის პირობებში

*p≤0.05; **p≤0.01

აქტივობის ტიპი ჯგუფები	შიშის რეაქციები				კვლევითი აქტივობა				
	დეჟეკაცია	გრუმინგის ხანგრძლივობა (წმ)	გარინდვა (რაოდენობა)	გარინდვის ხანგრძლივობა (წმ)	ვერტიკალური დგომი	ცენტრში ყოფნის ხანგრძლივობა	ცენტრში ყოფნის რაოდენობა	ცენტროსკეპული მოძრაობების რაოდენობა	მოძრაობა (სექტორების გადაკვეთის რიცხვი)
კონტროლი	3.6±0.20	3.7±0.23	3.2±0.17	14.4±0.85	11.6±0.78	4.0±0.25	1.85±0.14	5.3±0.26	4.1±0.22
სტრესი	5.6±0.23*	17.2±0.85**	9.8±0.55**	21.4±0.82**	3.2±0.17*	2.2±0.29*	0.83±0.09*	0.63±0.11**	0**

ამრიგად, მიღებული მონაცემები მიუთითებენ, რომ ინდივიდის ხანგრძლივი სოციალური იზოლაცია, რომელიც მიმდინარეობს დღე-ღამური რიტმის დარღვევის პირობებში, ცხოველებში სტრესული ფონის განვითარებას უწყობს ხელს, რაც იძლევა საშუალებას ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული პირობები ფსიქო-ემოციური სტრესის ჩამოყალიბების რეალური ინიციატორია.

III.2. გულის კუნთის ქსოვილსა და სისხლში აზოტის ოქსიდისა და ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის პროდუქტების რაოდენობრივი შემცველობის ცვლილება ხანგრძლივი ფსიქო-ემოციური სტრესის პირობებში

როგორც აღინიშნა, ხანგრძლივი სოციალური იზოლაცია და ბუნებრივი ცირკადული რიტმის დარღვევა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ორგანიზმის ჰორმონალურ სტატუსზე ანუ პირველად მესენჯერულ სისტემაზე. ცნობილია, რომ ორგანიზმში ჰორმონების რაოდენობრივი ცვლილება წარმოადგენს იმ ძირითად


სასტარტო მდგომარეობას, რაც იწვევს უჯრედში მთელი რიგი სასიგნალო მოლეკულების სინთეზსა და მათი მეშვეობით განხორციელებულ სასიგნალო კასკადის ინტენსივობისა და მიმართულების შეცვლას. ერთ-ერთ ასეთ მოლეკულად განიხილება აზოტის ოქსიდი (NO).

როგორც ცნობილია, NO წარმოადგენს როგორც უჯრედშიდა, ასევე უჯრედგარე მესენჯერს და აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სხვადასხვა მეტაბოლური პროცესების რეგულირებაში, უზრუნველყოფს რა ორგანიზმის ნორმალურ ფუნქციონირებას. კერძოდ, NO პასუხისმგებელია მთელი რიგი ფერმენტების აქტივობის რეგულირებაზე, ამავე დროს იგი აქტიურადაა ჩართული გლიკოლიზისა და სუნთქვის ჯაჭვის ფერმენტების რეგულაციასა და სხვა მნიშვნელოვან პროცესებში [241].

NO-ს ბიოლოგიური როლი უჯრედში პირდაპირ კავშირშია მის რაოდენობრივ შემცველობაზე. მისი ჭარბი, ციტოტოქსიკური რაოდენობა უარყოფითად აისახება უჯრედის ფუნქციონირებაზე, განსაკუთრებით ეს ეხება სისხლძარღვის ენდოთელურ უჯრედებს. ჭარბი რაოდენობით სინთეზირებული აზოტის ოქსიდი თავისუფალ რადიკალებთან დაკავშირების შემდგომ წარმოქმნის პეროქსინიტრიტს, რომელიც ურთიერთქმედებს სისხლის პლაზმაში მოცირკულირე დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინებთან და ჟანგავს რა მათ, ხელს უწყობს ე.წ. „ქაფიანი უჯრედების“ წარმოქმნას, რაც თავის მხრივ, ხდება სისხლძარღვის ათეროსკლეროზული დაზიანების საფუძველი [242].

ზემოთქმულის გათვალისწინებით, შემდგომში განსაზღვრული იქნა აზოტის ჟანგის რაოდენობრივი ცვლილების დინამიკა როგორც საკონტოლო, ისე სტრესირებული ცხოველების გულის კუნთის ქსოვილსა და სისხლში ფსიო-ემოციური სტრესის მიმდინარეობის ფონზე. მიღებული მონაცემები წარმოდგენილია სურათზე 3. სურათიდან ჩანს, რომ ცხოველების სოციალური იზოლაციისა და ბუნებრივი დღე-ღამური რიტმის დარღვევით გამოწვეული ფსიქო-ემოციური სტრესის მიმდინარეობის პარალელურად, NO-ს კონცენტრაცია ექსპერიმენტული ცხოველების გულის კუნთის ქსოვილსა და სისხლში მატულობს და მაქსიმალურ აქტივობას აღწევს სტრესის 30-ე დღეს. კერძოდ, მიტოქონდრიულ ფრაქციაში მისი შემცველობა საკონტროლო


მაჩვენებელთან შედარებით დაახლოებით 61%-ითაა გაზრდილი, ციტოზოლურ ფრაქციაში 65%, ხოლო სისხლის პლაზმაში 78%. მიღებული მონაცემები მიუთითებენ, რომ NO-ს ამ ტიპის ცვლილებების მიზეზი შესაძლებელია იყოს მისი მასინთეზირებელი ფერმენტის აქტივობის ზრდა.



სურათი 3. გულის კუნთის ქსოვილის მიტოქონდრიულ (A), ციტოზოლურ (B) ფრაქციებსა და სისხლის პლაზმაში (C) აზოტის ოქსიდის (NO) რაოდენობრივი ცვლილებების დინამიკა 30- დღიანი სოციალური იზოლაციისა და ბუნებრივი დღე-ღამური რიტმის დარღვევის პირობებში

ორდინატთა ღერძზე - NO-ს რაოდენობრივი შემცველობა (μM), *p<0.05, **p<0.01


ცნობილია, რომ NO-ს სინთეზი ხორციელდება სპეციალური ფერმენტების, კერძოდ NO-სინთაზების (NOS) მონაწილეობით. ნანახია ამ ფერმენტის 3 იზოფორმა, კერძოდ ენდოთელიალური (eNOS), ინდუციბელური (iNOS) და ნეირონული (nNOS). იქიდან გამომდინარე, რომ სწორედ eNOS განსაზღვრავს NO-ს შემცველობას სისხლში და ნაწილობრივ გულის კუნთში, შემდგომ განსაზღვრული იქნა ამ ფერმენტის აქტივობა (სურ.4). მიღებულმა შედეგებმა ხანგრძლივი სოციალური იზოლაციისა და ბუნებრივი დღე-ღამური რიტმის დარღვევით გამოწვეული ფსიქო-ემოციური სტრესის პირობებში აჩვენა eNOS-ის აქტივობის მატება როგორც გულის კუნთის ქსოვილში (≈ 2 -ჯერ), ასევე სისხლში (≈ 3 -ჯერ).



სურათი 4. ენდოთელიური აზოტის ოქსიდის სინთაზას (eNOS) აქტივობის ცვლილება გულის კუნთის ქსოვილსა (A) და სისხლის პლაზმაში (B) 30- დღიანი სოციალური იზოლაციისა და ბუნებრივი დღე-ღამური რიტმის დარღვევის პირობებში ორდინატა ლერძზე - eNOS-ის ფერმენტული აქტივობა (U/მგ ცილა), * $p \leq 0.05$

ცნობილია, რომ eNOS-ს აქტივატორს წარმოადგენს კალციუმის იონები (Ca^{2+}), რომლის რაოდენობრივი ცვლილებები, თავის მხრივ, დაკავშირებულია ზოგიერთი ჰორმონის, მათ შორის კორტიკოსტერონისა და სეროტონინის რაოდენობრივ შემცველობაზე სისხლში [243]. ამის გათვალისწინებით, შემდგომ განსაზღვრული იქნა Ca^{2+} -იონის რაოდენობრივი სიდიდე გულის კუნთის ქსოვილსა და სისხლის პლაზმაში. მიღებული მონაცემები წარმოდგენილია სურათზე 5, საიდანაც ჩანს, რომ სტრესის


ფონზე ადგილი აქვს კალციუმის მატებას, რაც თავის მხრივ, როგორც eNOS-ს აქტივატორი, სავარაუდოდ, ხელს უწყობს როგორც სისხლში, ასევე გულის კუნთის ქსოვილში NO-ს რაოდენობის მატებას.



სურათი 5. Ca²⁺-ის რაოდენობრივი შემცველობა გულის კუნთის ქსოვილისა (A) და სისხლის პლაზმაში (B) ცხოველების სოციალური იზოლაციისა და ცირკადული რიტმის დარღვევით გამოწვეული სტრესის პირობებში
*ორდინატთან ღერძზე - კალციუმის იონის რაოდენობა (ნმოლი/ მგ ცილა), *p<0.05*

როგორც ცნობილია, NO როგორც სასიგნალო მოლეკულა, დაკავშირებულია მთელ რიგ უჯრედულ პროცესებთან. კერძოდ, იგი ჟანგვითი ფოსფორილირების პროცესის ინჰიბირების ხარჯზე ამცირებს ატფ-ის გენერაციას, რასაც მოსდევს მიტოქონდრიებში სუპეროქსიდ-რადიკალის წარმოქმნა, რომლის უშუალო სამიზნეს მემბრანული კომპონენტები (ლიპიდები) და ზოგიერთი ფერმენტის აქტიური ცენტრი წარმოადგენს. NO-ს ასევე გააჩნია უნარი წარმოქმნას პეროქსინიტრიტის რადიკალი, რომელიც თავის მხრივ, საკმაოდ რეაქტიულ ნაერთს წარმოადგენს და შეუძლია სხვადასხვა უჯრედული მაკრომოლეკულების დაჟანგვა. ცნობილია, რომ აქტიური რადიკალების ძირითად სამიზნეს, სხვადასხვა ცილოვანი მოლეკულების გარდა, წარმოადგენს უჯერი ცხიმოვანი მჟავების შემცველი მემბრანული ლიპიდებიც, რომლებთან ურთიერთქმედებით იწყება ე.წ. ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის (ლზჟ) -

პეროქსიდაციის პროცესი, რასაც საბოლოოდ მოსდევს სამიზნე უჯრედში ოქსიდაციური სტრესის განვითარება.




სურათი 6. გულის კუნთის ქსოვილის მიტოქონდრიულ (A), ციტოზოლურ (B) ფრაქციებსა და სისხლის პლაზმაში (C) მალონის დიალდეჰიდის რაოდენობრივი ცვლილებები 30- დღიანი სოციალური იზოლაციისა და ბუნებრივი დღე-ღამური რიტმის დარღვევის პირობებში

*ორდინატთა ლერძზე -მალონის დიალდეჰიდის კონცენტრაცია (მკმოლი/მგ ცილა), * $p < 0.05$*

ამ პროცესისადმი განსაკუთრებულ მგრძობელობას ამჟღავნებენ მემბრანული სტრუქტურები, ვინაიდან ამ დროს ხდება უჯრედის მემბრანის გაფაშარება და მათი განვლადობის ზრდა, რაც არღვევს უჯრედის ნორმალურ ფუნქციონირებას. ამასთან, აღნიშნული პროცესის შედეგად ხდება ჭარბი თავისუფალი რადიკალების წარმოქმნა, რომლებიც თავის მხრივ, სხვადასხვა ჟანგვითი რეაქციების აქტივატორს წარმოადგენენ.

